სსიპ კოლეჯი "ოპიზარი"

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
„წყალმომარაგების სისტემების ექსპლუატაცია“

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. 111

ტელეფონი: T- (365)2 2 11 03 ; T-599172005 ; (365) 2 2 17 41;

ელ-ფოსტა: Belaavalishvili@gmail.com

ვებ გვერდი: http://opizarivet.ge/

პროგრამის ხელმძღვანელები: **ზაზა თათოშვილი , ნაირა აზირაშვილი**

2021

1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე** - წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები / Water Supply and Sewage Systems

2. **სარეგისტრაციო ნომერი** 07309-3

3. **მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენაზე**

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია წყალმომარაგების სისტემების ექსპლუატაციაში / Secondary Vocational Qualification in Water Supply Systems Exploitation

აღნიშნული კვალიფიკაციები განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია, კოდი 0732, აღმწერი - *შეისწავლის საჯარო (საზოგადოებრივი), კომერციული, ინდუსტრიული და სახცოვრებელი სტრუქტურების (ასევე მათი აღჭურვის) მონტაჟის, აგებისა და ტექნიკური მომსახურების მეცნიერებას, ტექნოლოგიებსა და ტექნიკას/მეთოდებს.*
სამოქალაქო ინჟინერია შეისწავლის დიდი ზომის შენობა - ნაგებობებისა და სტრუქტურების, მათ შორის სატრანსპორტო სისტემების, წყალმომარაგებისა და არინების და ა.შ. დაგეგმვას,პროექტირებას, ტესტირებასა და მშენებლობის ხელმძღვანელობას".

4. **მიზანი**

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „წყალმომარაგების სისტემების ექსპლუატაცია", რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრის მომზადებას. კურსდამთავრებული შეძლებს წყლის მილსადენების შენებას, შეკეთებითი სამუშაოების ჩატარებას. სამუშაო სრულდება უსაფრთხოების წესების დაცვითა და გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარებით.

5. **დაშვების წინაპირობები**

- საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია წყალმომარაგების სისტემების ექსპლუატაციაში - სრული ზოგადი განათლება,

6. **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები**

- **წყალმომარაგების სისტემების ექსპლუატაციის** საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელსა შეუძლია დასაქმდეს წყალარინების სისტემების ტექნიკოსად, წყალარინების სექტორში, ოსტატის თანამდებობაზე და შეასრულოს სამუშაოები გარემოს დაცვის სფეროში.

➢ ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები:
36.0; 36.00; 36.00.0 წყლის დაგროვება, დამუშავება და განაწილება - ქვეკლასი შეიცავს:

- წყლის გაწმენდას წყალმომარაგების მიზნით
- წყლის დამუშავებას სამრეწველო და სხვა მიზნებისათვის
- წყლის განაწილებას წყალსადენებით

➢ დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 3112.

7. სტრუქტურა და მოდულები

„წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების“ ჩარჩო დოკუმენტი აერთიანებს საშუალო პროფესიულ ორ კვალიფიკაციას, აქვს საერთო ზოგადი 3 მოდული ჯამური 10 კრედიტის რაოდენობით და საერთო პროფესიული 2 მოდული ჯამური 6 კრედიტის ოდენობით.

- **საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია წყალმომარაგების სისტემების ექსპლუატაციაში** მოიცავს 10 პროფესიულ მოდულს ჯამური 36 კრედიტის რაოდენობით. წყალმომარაგების სისტემების ექსპლუატაციაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს **52 კრედიტი.**
  - „მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ,აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.“

- **მოცულობა:ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 52კრედიტი**

- **სავარაუდო ხანგრძლივობა:სასწავლო 18 თვე**

- **მოცულობა: არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 82 კრედიტი**

- **სავარაუდო ხანგრძლივობა: 23 სასწავლო თვე**

-

№	ზოგადი მოდულები	წყალმომარაგების სისტემების ექსპლუატაცია	კრედიტი
1	უცხოური ენა		5
2	ინფორმაციული წიგნიერება 1		2
3	**მეწარმეობა 2 ***		3

	ჯამი:	**10**
№	**საერთო პროფესიული მოდულები**	**კრედიტი**
1	გაცნობითი პრაქტიკა წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემებში	2
2	კომპანიის მოთხოვნები და საინფორმაციო ბაზები	4
	ჯამი:	**6**
№	**პროფესიული მოდულები - წყალმომარაგების სისტემების ექსპლუატაცია**	**კრედიტი**
1	უსაფრთხო სამუშაო გარემო	4
2	წყლით მომარაგების ქსელის სამეცნიერო და ტექნიკური ასპექტები	4
3	აღჭურვილობის მუშაობის და მომსახურების პრინციპები	4
4	წყალმომარაგების ქსელის სამუშაოები	4
5	წყალმომარაგების სისტემების მონტაჟი	4
6	მომსახურებისა და აღდგენითი სამუშაოები	4
7	ტერიტორიის შემოწმება	4
8	წყალმომარაგების სისტემის დიაგნოსტირება	4
9	მომხმარებლის მომსახურება	2
10	გარემოსდაცვითი სამუშაო პრაქტიკის დანერგვა	2
	ჯამი:	**36**

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისი სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

სწავლის შედეგები წყალმომარაგების სისტემების ექსპლუატაციის მიმართულებით

1. დაგეგმოს წყალმომარაგების სისტემებზე სამუშაოდ უსაფრთხო გარემო
2. დაგეგმოს და შეასრულოს წყალმომარაგების ქსელის სამუშაოები
3. დაამონტაჟოს წყალმომარაგების სისტემები
4. დაგეგმოს და შეასრულოს წყალმომარაგების სისტემის მომსახურებისა და აღდგენითი სამუშაოები
5. ჩაუტაროს დიაგნოსტირება წყალმომარაგების სისტემებს
6. მოემსახუროს მომხმარებელს
7. შექმნას სამუშაოსთან დაკავშირებული დოკუმენტები.

9 . ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

სსიპ კოლეჯმა „ოპიზარი“ ჩარჩო დოკუმენტის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები საფუძველზე, შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„წყალმომარაგების სისტემების ექსპლუატაცია“**

„წყალმომარაგების სისტემების ექსპლუატაცია“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება დუალური მიდგომით. კერძოდ, სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის **57,1%** მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთ თანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში, სადაც საწარმოო პრაქტიკა საშუალებას აძლევს სტუდენტს/მსმენელს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეძენილი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები რეალურ სამუშაო გარემოში განამტკიცოს.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას *(მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „ წყალმომარაგების სისტემების ექსპლოატაცია“განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში“ წყალმომარაგების სისტემების ექსპლუატაცია“ პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის **57,1 %** მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოშიკვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების/მსმენელების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

დანართი №1 - სასწავლო გეგმა

დანართი №2 - მოდულები:

2.1 უცხოური ენა (ინგლისური ენა)
2.2 ინფორმაციული წიგნიერება 1
2.3 **მეწარმეობა 2 ***
2.4 გაცნობითი პრაქტიკა წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემებში
2.5 კომპანიის მოთხოვნები და საინფორმაციო ბაზები
2.6 უსაფრთხო სამუშაო გარემო
2.7 წყლით მომარაგების ქსელის სამეცნიერო და ტექნიკური ასპექტები
2.8 აღჭურვილობის მუშაობის და მომსახურების პრინციპები
2.9 წყალმომარაგების ქსელის სამუშაოები
2.10 წყალმომარაგების სისტემების მონტაჟი
2.11 მომსახურებისა და აღდგენითი სამუშაოები
2.12 ტერიტორიის შემოწმება
2.13 წყალმომარაგების სისტემის დიაგნოსტირება
2.14 მომხმარებლის მომსახურება
2.15 გარემოსდაცვითი სამუშაო პრაქტიკის დანერგვა
2.16 ქართული ენა A2
2.17 ქართული ენა B1

პროგრამის განხორციელებისათვის დადებულია მემორანდუმი :

1.“ შპს“ საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია სამცხე ჯავახეთის რეგიონალური ფილიალი **ხელშეკრულება #10/1 01.04.2021წ ქ. ახალციხე კოსტავას ქ.# 1**